

მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესება თბილისის  
84-ე საჯარო სკოლის მაგალითზე

გიორგი ვარდოსანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი ზედგინიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## აბსრტაქტი

პრაქტიკული კვლევის ჩატარების მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს მუშაობის გაუმჯობესება თბილისის 84-ე საჯარო სკოლის მაგალითზე. პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე, ყველაზე დიდ გამოწვევად სკოლისთვის სწორედ ზემოთ ხსენებული ორგანოს ხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფა იყო.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებით შეგროვებული ინფორმაციის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და ინფორმირებულობის დონე, რაც იწვევდა აქტივობების ჩატარების არარსებობას და წევრების მიერ უფლებამოსილებების განხორციელებისგან თავის შეკავებას.
- ადმინისტრაციას და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს შორის კომუნიკაციის პრობლემები, რაც იწვევდა შეუთანხმებლობას და მოსწავლეთა ფრუსტრაციას.
- არჩევნები არ ტარდებოდა წესების დაცვით, რაც იწვევდა ორგანოს ფუნქციის მოშლას.

აღნიშნულ პრობლემებზე დაყრდნობით განხორციელდა ინტერვენციები, რომლებიც მოიცავდა ისეთი აქტივობების ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობდა თვითმმართველობის დისფუნქციის გამომწვევი მიზეზების განეიტრალებას. აქტივობები მოიცავდა ორგანოს მუშაობის კალენდრის შედგენას და საქმიანობების განსაზღვრას. ამის მიზანი იყო წესრიგის აღდგენა ორგანოს მუშაობის განრიგში და სისტემურობის სახის მიცემა.

ერთობლივი აქტივობების განხორციელება და კომუნიკაციის დამყარება თვითმმართველობის წევრებსა და ადმინისტრაციას შორის. ასეთები იყო, ვიზიტი ტექნო-პარკში და დირექტორის მიერ დაფინანსების გამოყოფა თვითმმართველობის

ინიცირებული აქტივობის დასაფინანსებლად. პრეზენტაცია-ტრენინგები მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად. საჯარო ლექციების ციკლი სკოლის პოპულარიზაციისთვის. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი ჯგუფის მუშაობა არჩევნების საინფორმაციო ბუკლეტის დასამზადებლად.

ინტერვენციებმა პოზიტიური ცვლილებები იქონია მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობაზე და საჭიროებს მუშაობის შემდგომ გაგრძელებას. ამისათვის შევიმუშავეთ რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია:

- არჩევნების ჩატარების სტანდარტიზაცია
- მოსწავლეებსა და ადმინისტრაციას შორის კომუნიკაციის გაღრმავება
- ორგანოს ფუნქცია-მოვალეობების ნათლად განსაზღვრა და გაცნობა ყველასთვის
- საარჩევნო კამპანიის სწორად წარმართვა და წევრების შერჩევა წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით

კვლევის შეზღუდვა იყო ის, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის არ იყო განსაზღვრული აქტივობები. ასევე არ იყო გათვალისწინებული მშობლების ჩართულობა და არ ყოფილა მოკვლევული, ან გაზიარებული თბილისის სხვა სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობის გამოცდილებები.

კვლევის ჩატარების მთელ პერიოდში დაცული იყო ეთიკური საკითხები და ყველა მხარისგან მიღებული იყო ინფორმირებული თანხმობა წინასწარ.

**საძიებო სიტყვები: მოსწავლეთა თვითმმართველობა, კვლევა**